სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

23 ივლისი 2026

N 21/10704

შპს „ლიბრა ავტო“-ს
ელ. ფოსტა: libra1avto@gmail.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ (შემდგომ – სააგენტო) განიხილა თქვენი მიმდინარე წლის 30 ივნისის №9855 და №9915 წერილებით წარმოდგენილი საქმიანობის – „ADBLUE“-ს სითხის დამამზადებელი საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადება და გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ დოკუმენტში კვლავ არ არის სრულად გათვალისწინებული სააგენტოს 2026 წლის 11 ივნისის №21/8219 წერილში მითითებული საკითხები, კერძოდ:

ა) სკრინინგის განცხადებაში აღნიშნულია, რომ საწარმოს მოწყობა გათვალისწინებულია 27.06.52.399 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე განთავსებულ შენობაში, ხოლო shp-ფაილში ასახული მიწის ნაკვეთი და სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი GPS კოორდინატები სრულად არ მოიცავს 27.06.52.399 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთს, რაც დაზუსტებას საჭიროებს.

ბ) საწარმოში გათვალისწინებული ქიმიური პროდუქტის საცავ(ებ)თან დაკავშირებით კვლავ არ არის წარმოდგენილი საკმარისი ინფორმაცია. კერძოდ, მოცემული არ არის ქიმიური პროდუქტის საცავ(ებ)ის მოცულობა ($მ^3$-ში), დეტალური აღწერა, საცავში ქიმიური პროდუქტების შენახვის პირობები, ასევე ინფორმაცია ავარიული დაღვრის პრევენციის მიზნით გათვალისწინებული ღონისძიებებისა და ავარიული დაღვრის შემთხვევაში გასატარებელი ღონისძიებების შესახებ.

გ) სკრინინგის განცხადებაში მოცემული არ არის „ADBLUE“-ს სითხის წარმოების ტექნოლოგიურ პროცესში ჩართული ყველა დანადგარის დახასიათება/საპასპორტო მონაცემები. ამასთან, სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს საწარმოს გენგეგმა, ტექნოლოგიურ პროცესში გამოსაყენებელი დანადგარების ჩვენებით, ასევე ქიმიური პროდუქტის საცავ(ებ)ის დატანით.

დ) სკრინინგის განცხადებაში კვლავ არ არის წარმოდგენილი საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ნარჩენების კოდები, დასახელებები, რაოდენობები და შემდგომი მართვის ღონისძიებები.

ე) ტექნოლოგიური პროცესიდან გამომდინარე ანგარიში საჭიროებს დაზუსტებას, მავნე ნივთიერებათა გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების იდენტიფიკაციის მიზნით. კერძოდ, ანგარიშში წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით, ნედლეული (შარდოვანა) საწარმოში შემოიზიდება ტომრებით, რის შემდგომაც გადაიტვირთება საწნეხ დანადგარში, სადაც ფორმირდება აბებად. აღნიშნულის შემდგომ, ტექნოლოგიური პროცესი ითვალისწინებს შარდოვანას დეიონიზირებულ წყალთან შერევას და საბოლო პროდუქტის მიღებას. ვინაიდან ტექნოლოგიური ერთგვაროვნება ითვალისწინებს მყარი ფხვიერი ნედლეულის დასაწყობებას, გადატვირთვას და შუალედური პროდუქტის მიღებამდე დანადგარის საშუალებით ზემოქმედებას, საჭიროა, ანგარიშში დაზუსტებული იყოს ტექნოლოგიური ხაზის შესახებ დეტალური ინფორმაცია, მავნე ნივთიერებათა გამოყოფის და გაფრქვევის პროცესის თანმიმდევრული შეფასებით (დეტალიზება გაფრქვევის მასშტაბის და დროის პერიოდულობის მიხედვით). მავნე ნივთიერებათა წარმოქმნის და იდენტიფიკაციის მიხედვით, აუცილებელია მიღებული პროდუქტის

შემადგენლობის დაზუსტება, ქიმიური და ორგანული/არაორგანული ნაერთების გამოყენების შესაბამისად (არსებობის შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იყოს შუალედური და საბოლოო პროდუქტების უსაფრთხოების სერთიფიკატები).

ვ) სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი დაზუსტებული მონაცემების მიხედვით, საწარმოდან უახლოესი საცხოვრებელი სახლები დაშორებულია დაახლოებით 15-20 მეტრით, თუმცა, დოკუმენტში კვლავ არ არის წარმოდგენილი საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ხმაურის გავრცელების გაანგარიშება და უახლოეს საცხოვრებელ სახლებთან მიღებული შედეგები, საწარმოში გათვალისწინებული ხმაურის წარმომქმნელი ყველა წყაროს გათვალისწინებით.

ზ) ჩამდინარე წყლების არინების თავში მითითებულია, რომ „გამომდინარე იქედან, რომ აღნიშნული საპროექტო საწარმოს ფუნქციონირება მოხდება ე.წ. ჩაკეტილი, (დახურული) ციკლით, ანუ ტექნოლოგიური პროცესების განხორციელება მოხდება სრულად იზოლირებულად გარემოსგან, ტექნოლოგიაში გამოყენებული წყლის ჩაშვება საწყლოსნო ობიექტში არ მოხდება“. აღნიშნული ინფორმაცია გაუგებარია და დაზუსტებას საჭიროებს საწარმოში ტექნიკური/საწარმოო ჩამდინარე წყლის წარმოქმნის საკითხი.

თ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის კორესპონდენციის თანახმად, საწარმოს მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობის ნაწილი შპს „ლიბრა ავტო“-ს საქმიანობის განხორციელების წინააღმდეგია, ვინაიდან მათ არ გააჩნიათ ინფორმაცია საწარმოს უსაფრთხოებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, დანართის სახით გიგზავნით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას.

ი) განახლებულ სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იქნას ზემოაღნიშნულ შენიშვნებზე რეაგირების შესახებ ინფორმაცია, ცხრილის სახით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მითითებული საკითხების დაზუსტებამდე, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის 5^1 ნაწილის საფუძველზე, სააგენტო წყვეტს თქვენ მიერ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაზე ადმინისტრაციულ წარმოებას.

ელენე ღუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/10704-21-2-202607230952

ელექტრონული ხელმოწერა/ELECTRONIC SIGNATURE • QUALIFIED